ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

28 ივლისი 2025

N 349

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის სერტიფიცირებული ბუღალტრების განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარების შესახებ

,,განგრძობითი განათლების სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომში - სამსახური) უფროსის 2017 წლის 18 აგვისტოს N6-13 ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, 2025 წლის 30 ივნისს სამსახურისათვის წარდგენილ იქნა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (შემდგომში - ბაფ) N171 წერილი (რეგისტრაციის N102002/16; 30.06.2025წ.) სერტიფიცირებული ბუღალტრებისა და აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამების შესახებ. აღნიშნულის შემდგომ, ბაფ-მა 2025 წლის 18 ივლისს N193 წერილით (სამსახურში რეგისტრაციის N114038/16; 18.07.2025წ.) განმეორებით წარადგინა განახლებული პროგრამა სერტიფიცირებული ბუღალტრების 2025 წლის განგრძობითი განათლების შესახებ.

,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, ,,განგრძობითი განათლების სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 18 აგვისტოს N6-13 ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტისა და სამსახურის აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტის მეორადი სტრუქტურული ერთეულის (პროფესიული განათლების ზედამხედველობისა და რეესტრების წარმოების სამმართველო) ხელმძღვანელის ფუნქციების შემსრულებლის და მეორადი სტრუქტურული ერთეულის (მონიტორინგისა და მოკვლევის სამმართველო) პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (აუდიტის ზედამხედველობის ინსპექტორი) დავით სხილაძის 2025 წლის 25 ივლისის N66194-16 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დასრულდეს ბაფ-ის სერტიფიცირებული ბუღალტრების განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარებასთან დაკავშირებული წარმოება;
2. მოთხოვნა დაკმაყოფილდეს და აღიარდეს 2025 წლის 18 ივლისის N193 კორესპონდენციით წარმოდგენილი სერტიფიცირებული ბუღალტრების განგრძობითი განათლების 2025 წლის პროგრამა;
3. მიენიჭოს ბაფ-ის სერტიფიცირებული ბუღალტრების განგრძობითი განათლების პროგრამას ნომერი - SARAS-CPD-023/25;

4. დაევალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომლებს ბაფ-ის მიერ წარმოდგენილი პროგრამის სტანდარტთან და კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მონიტორინგის განხორციელება, ხოლო ბაფ-ს - ლექციაზე მსმენელთა ელექტრონულად დასწრებისათვის გათვალისწინებული, ელექტრონული უზრუნველყოფის (შესაბამისი ბმულების) შესახებ ინფორმაციის სამსახურისათვის მიწოდება;

5. დაევალოს ბაფ-ს აღიარებული სერტიფიცირებული ბუღალტრების განგრძობითი განათლების პროგრამის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნება (www.gfpaa.ge);

6. გადაწყვეტილება გაეგზავნოს ბაფ-ს ბრძანების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) დღის ვადაში;

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64).

თორნიკე ძაგნიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტი

https://edoc.mof.ge/public/#/349-16-4-202507281112